საკუთარ კარში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 27 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

ლენინგრადი: პოლიკანოვი, პერეტურინი, შიშკოვი, ტიხომიროვი, მოროზოვი, დვორცოვი, კარასევი, აქსიონიოვი, პეტროვი, ნიკოლაევი, ივანოვი (ბასკაკოვი).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი (ფიფია), იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

თბილისის “დინამოს” ახლადშეკეთებულმა სტადიონმა გუშინ კვლავ მიიღო თავის ტრიბუნებზე ფეხბურთის მოყვარულნი. ჩვენი გუნდი ამ დღეს თავის საკუთარ მინდორზე (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თამაშობდა, მაგრამ სტადიონის გახსნასთან დაკავშირებულ საზეიმო განწყობილებას ერთგვარად დაუკარგა ელფერი უფერულმა, უინტერესო თამაშმა, რაშიც ბრალი პირველ ყოვლისა თბილისელებს მიუძღვით.

სისტემა 4+2+4 დღეს საყოველთაოდ აღიარებულია საერთაშორისო ფეხბურთში. ამიტომ მისი გამოყენება ჩვენს გუნდში სადავო არაა, მაგრამ ეს სისტემა გუშინდელი შესრულებით აშკარად არ შეესაბამებოდა მის დანიშნულებასა და მიზანდასახულებას, მითუმეტეს, რომ ლენინგრადის გუნდი ამ დღეს თამაშობდა ღრმა დაცვაში და წინ დატოვებული ჰყავდა მხოლოდ 3 ფორვარდი. ორივე მოწინააღმდეგის ძალთა ასეთმა კონცენტრაციამ საკუთარი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს გამოიწვია ის, რომ თავდასხმას უბრალოდ არ ყოფნიდა რესურსები ეფექტური შეტევა ეწარმოებინა მოპირდაპირე კართან.

რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევს ის ამბავი, რომ უპირატესობა უმთავრესად თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ მათი შეტევის ცენტრი არათუ შესუსტებული იყო, არამედ ფაქტიურად არც არსებობდა. ბარქაია კომბინაციური სტილის მოთამაშეა და იერიშის დასამთავრებლად მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში გადის, ხოლო მელაშვილი ამ დღეს არაფრით არა ჰგავდა ცენტრალურ თავდამსხმელს. იგი სისტემატურად აგვიანებდა ბურთზე გასვლას, კარგავდა მას და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ლენინგრადელთათვის.

კარგად დაიწყო თამაში მესხმა. იგი სურვილისამებრ გადიოდა მასზე გაპიროვნებულ ორ მცველს შორის, მაგრამ თავის რთულ გასვლებს ამთავრებდა მხოლოდ ერთი დაბოლოებით _ ძლიერი გადაცემით ცენტრში. აქ კი თბილისელებს ცარიელი ადგილი ჰქონდათ. არც მესხი ცდილა შეეცვალა თავისი ტაქტიკა, არც სხვა დანარჩენ ფორვარდებს შეუწუხებიათ თავი გასულიყვნენ იქ, სადაც მათი მარცხენა გარემარბი აწოდებდა ბურთებს. ასე ერთთვეროვნად მიმდინარეობდა მთელი პირველი ტაიმი: ბურთი დიდ ხანს მოძრაობდა შუა მინდორში, ბოლოს აღწევდა ერთ-ერთ გარემარბს, უმთავრესად მესხს, აქედან მოდიოდა გადაცემა ცენტრში, სადაც თბილისელთა ფორვარდები შემოდიოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა შიშკოვსა და დვორცოვს უკვე მოგერიებული ჰქონდათ ბურთი.

ერთადერთი ბურთი სტუმრების კარში გატანილ იქნა სწორედ ასეთი გადაცემის შედეგად, მაგრამ მისი ავტორი მაინც არ იყო ჩვენი მოთამაშე. გოლი საკუთარ კარში გაიტანა ლენიგნრადელთა მცველმა პერეტურინმა - 1:0.

მეორე ტაიმი დიდხანს ასევე მიმდინარეობდა. სტუმრების დაცვამ ბოლოს და ბოლოს იგრძნო, რომ თბილისელთა შეტევაში ამ დღეს არ იყო ჩვეული სიმწვავე და გოლის საშიშროება, ამიტომ მათ სავსებით მართებული გადაწყვეტილება მიიღეს - წინ გადაისროლეს თავიანთი ორივე შუამარბი. ამ მანევრის შედეგად თამაშმა მასპინძელთა კართან გადაინაცვლა, მაგრამ შედეგის შეცვლა მათს ძალებს აღემატებოდა.

თბილისელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს გამარჯვება, თუმცა განვლილი მატჩი არ მიეკუთვნება მათი საუკეთესო თამაშის კატეგორიას.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 1:1.

ს. ციციშვილი.

“ლელო”, 28 ივლისი 1962 წ.